ხელშეკრულება N65
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. ქარელი 4.07. 2019 წ.

ერთის მხრივ,სკოლამდელი და სკოლისგარეშე სააღმზრდელო დაწესებულებების ქარელის მ/გაერთიანება (შემდგომში ,,დამკვეთი“) წარმოდგენილი ნინო მეზვრიშვილის სახით და მეორეს მხრივ შპს „ეტალონის“ დირექტორი თენგიზ ფილიშვილი (შემდგომში ,,შემსრულებელი“), ვხელმძღვანელობთ, რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1.ხელშეკრულების საგანი

ლაბორატორიული მომსახურებები,**სასმელი წყლის ქიმიური და ბაქტერიოლოგიური ანალიზი გაერთიანებაში შემავალ 8 საბავშვო ბაღისთვის (CPV7190000)**

2. ხელშეკრულების საერთო ღირებულება

ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს 720 ლარი.

3.შესყიდვის ობიექტის ხარისხი და გარანტია

3.1.მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, შესყიდვის ობიექტის ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულების პირობებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მიერ განსაზღვრულ მოთხოვნებს.

4.შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები და პირობები

4.1.შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან 2019 წლის 4 ივლისიდან .

4.2.ხელშეკრულების ვადა არანაკლებ ერთი თვით აღემატება ობიექტის მიწოდების ვადას და განისაზღვრება 2019 წლის 31აგვისტომდე.

4.3.შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად, მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს თანმხლები დოკუმენტაციის წარდგენა შემსყიდველისათვის.

5.შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1.შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება შემსყიდველსა და მიმწოდებლის მიერ საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლის ხელმოწერით დადასტურებული მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე.

6.ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი (ვადები) და ადგილი

6.1.მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება ეროვნული ვალუტით (ლარში).

6.2.შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით.

6.3.ანგარიშსწორება შემსყიდველის მიერ მოხდება შესყიდვის ობიექტის მიწოდებისა და წინამდებარე ხელშეკრულების 5.1. მუხლში მითითებული დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდეგ არაუმეტეს 30 (ოცდაათი) საბანკო დღის ვადაში.

6.4.დასაშვებია შუალედური ანგარიშსწორება არაუმეტეს 50%-ისა.

7.მხარეთა უფლება-მოვალეობანი

7.1.შემსყიდველს უფლება აქვს შეამოწმოს შესყიდვის ობიექტის ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან.

7.2.შემსყიდველი ვალდებულია მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებილი პირობების შესაბამისად უზრუნველყოს შესყიდვის ობიექტის მიღება;

7.3.მიმწოდებელს უფლება აქვს მოსთხოვოს შემსყიდველს შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.
7.4. მიმწოდებელი ვალდებულია დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

8.ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

8.1.შემსყიდველი უფლებამოსილია შესყიდვის ობიექტის მიწოდების და მომსახურების პარალელურად განახორციელოს შემოწმება, რომლის მიზანია შესყიდვის ობიექტის შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.
8.2.ხელშეკრულების ინსპექტირებას დამკვეთის მხრიდან განახორციელებს ქარელის ა(ა)იპ სკოლამდელი და სკოლისგარეშე სააღმზრდელო დაწესებულებების ქარელის მ/გაერთიანება.
8.3.შემოწმების შედეგად გამოვლენილ ნებისმიერ ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს მიმწოდებელს წუნდების მიზეზების მითითებით.
8.4.გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებულო ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

9.მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

9.1.მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
9.2.თუ ხელშეკრულების რომელიმე მხარე დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებას, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულებიდან გასვლა ვალდებულების შესრულებისათვის მის მიერ დამატებით განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ (დამატებითი ვადის განსაზღვრისათვის გამოიყენება წერილობითი ფორმა). თუ ვალდებულების ხასიათიდან გამომდინარე შეუძლებელია გამოყენებულ იქნას დამატებითი ვადა, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება.
9.3.ხელშეკრულების გასვლისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით.
9.4.ხელშეკრულებიდან გასვლასთან და ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით შესაბამისად გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსი.
9.5.ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის ან ვალდებულების შესრულების ვადების დარღვევის შემთხვევაში, დამრღვევ მხარეს დაეკისრება პასუხისმგებლობის გადახდა ვალდებულების შესრულების ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0.3%-ის ოდენობით. თუ ვადაგადაცილებით დაკისრებული თანხის ოდენობა მიაღწევს ხელშეკრულების ღირებულების 5% მხარეს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.
9.6.შესყიდვის განხორციელებისას სამუშაოს შეუსრულებლობის შემთხვევაში პირგასამტეხლოს ოდენობა განისაზღვროს მხარეებს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებელი ნაწილის 30%-ით

10.ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

10.1.წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს

სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა, ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

11.ფორს-მაჟორი

11.1.მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე, ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.

11.2.მხარე რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

12.დავები და მათი გადაწყვეტის წესი

12.1.ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

12.2.შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

13.სხვა პირობები

13.1.მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

13.2.არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

13.3.მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

13.4.ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, სამ ეგზემპლარად, რომელთაგან ორი პირი რჩება დამკვეთან ხოლო ერთი პირი მიმწოდებელთან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან, ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

13.5.წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

14 მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები:

შემსყიდველი	
სკოლამდელი და სკოლისგარეშე	მიმწოდებელი:
სააღმზრდელო დაწესებულებების	თენგიზ ფილიშვილი
ქარელის მ/გაერთიანება	ს/კ200141612
მისამართი: ქ.ქარელი,ნინოშვილის ქ.N3	GE73BG0000000116674200
ს.ს ,,ლიბერთი ბანკი” ქარელის ფილიალი	BAGAGE22
ხაზინა	599-33-05-51
ს/კ 240895992	

/თ.ფილიშვილი/

მმართველი: /ნ. მეზვრიშვილი/

kareli municipal union of non-profit pre school institution

Digitally signed by kareli municipal union of non-profit pre school institution
Date: 2019.07.09 11:14:05 +04'00'